როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო წლისათვის პატარა ჩაილურის საჯარო სკოლაში მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. სასწავლო დაწესებულებაში, სადაც გასული სასწავლო წლისათვის 181 მოსწავლე და 35 მასწავლებელი იყო, 16 სექტემბრამდე დამთავრდა მწყობრიდან გამოსული და მოძველებული ხის კარ-ფანჯრის გამოცვლის სამუშაოები, სადაც ჩაისვა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა.

სოფელში არსებული ეკლესია მოქმედი და ორ კვირაში ერთხელ ჩამოიდის ღვთისმსახური წირვა-ლოცვის აღსავლენად. სოფელში ასევე გვაქვს „ბობოქარის“ და „კოპალას“ სახელობის ეკლესიები.

პატარა ჩაილურის სიამავეს წარმოადგენს სოფლის ბოლოს მდებარე „ნიახურას“ ციხე, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები საგარეო რაიონის პირველი მდივნის მეთავე მეზერშიშვილისა და ელტურისა და ძველთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით. ამ სამუშაოებზე მამინ არაერთმა ჩაილურელმა მიიღო მონაწილეობა ორივე სოფლიდან.

ნიახურა: მიწი ღაბახიშვილი



### რას ვერღენ ვინა საუკუნეში?!

## ღვიძარი

ჩვენებური ხალხი ძალიან თაკილობს ღვიძარაში ყურძნის წვენი გარდა სხვა რაიმე ჩაუბრუნოს, და ვისაც ვე კანტიკუნტად სადმე გაუბრუნია, ყოველივე ღონისძიებაც უხმარია, არავინ შემიტყოსო. ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიანდა ჩვენში ყველას ბუნებისაგან მოცემული ყურძნის წმინდა წვენი წარწყმედა და შებღალვა მასში რაიმეს ჩამატებითა და ჩარევით. ყოველივე იმას, რასაც კაცო ყურძნის წვენი უმატებს, წყალია, შაქარია, თუ გადაწმენდილი არაფერი და ან სხვა რამ, ჩვენ ღვიძნის წახედნად ჩავთვლით.

ღვიძნის გაბეჭვების მიზნით, როცა ჭაჭაზე შაქარწყალს დაასხამენ და მეორედ დაადუღებენ, ბევრი შაქარი გაუხსნელი, ალკოჰოლად გარდაუქმნელი რჩება. შაქარი

თურმე იმისთანა თვისებებისაა, რომ ადამიანის ორგანიზმში მთლიანად შეეწოვება სხვადასხვა, დუღილით არგარდაქმნილ ნივთიერებებთან ერთად, გროვდება მათთან ერთადვე და ორგანიზმიდან არ იდევნება. რაკი ზომას სცდება, გამოსავალს ღამობს და გზას ეძებს, ხელის, მუხლის ან ფეხის სახსრებს მიადგება და რადგან აქ გზა არა აქვს, სიმსივნეს და ტკივილს აჩენს. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ნიკრისის ქარი, ე.წ. „პოლაგრა“, ამგვარად ნაკეთები ღვიძნებისგან უხნდება კაცს. ჭკუასთან ახლოა ეს ამბავი: „პოლაგრა“ ვეროპის ღვიძნის მსმელთათვის შეუნიშნავთ, არა მარტო მათთვის, რომელნიც უზომოდ სვამენ, არამედ იმათთვისაც, რომელთაც ზომიერად, მაგრამ ყოველდღე და ხანგრძლივად ვეროპული შაქრით ნაკეთები ღვიძნები უსვამთ.

ილია ჭავჭავაძე

## „რობოლი-2013“



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 15 ტერიტორიულ ორგანოში რთველი ძალაში შევიდა. როგორც „რობოლი-2013“-ის რაიონული ცენტრის კოორდინატორმა ბიორბი ბუნაშვილმა

შობლიანიდან 65 ტონა, ბოგდანოვიკიდან – 193, ყანდაურიდან – 66, ბადიაურიდან – 64, კაკაბეთიდან – 542, ვერხვიანიდან – 22, დიდი ჩაილურიდან – 240, პატარა ჩაილურიდან – 164, მანაიდან – 416, თხილთაურიდან – 427, გიორგიწმინდიდან – 260, საგარეჯოლიდან – 231, ნინოწმინდიდან – 107, ხაშვიდან – 10 და სხვა. სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 872.9 ჰა-ზე გაშენებული საფურავის ჯიშის ვენახი. სულ კი ვენახის ფართობი მუნიციპალიტეტში 3311.7 ჰა-ია.

ასევე, 110 ტონა რქაწითელი ჯიშის ყურძენი მიყვანილი ქარხნებისათვის, თუმცა რქაწითელის ჯიშის ყურძნის კრეფა ჯერ-ჯერობით ინტენსიურად არ დაწყებულია. მცირე რაოდენობითაა მიყვანილი მწვანე ჯიშის ყურძენიც – 160 ტონა.

გიორგი ბუნაშვილი, 24 სექტემბრისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვენახებიდან უკვე ყურძნისა და ღვიძნის გადამამუშავებელ ქარხნებს 2600 ტონა საფურავის ჯიშის ყურძენი მიყვანა, მათგან

### „ცხი მძვინკროთი მვილდასა“...

## გაკუფრთხილდეთ ტყეს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უფიმდუმსა და უნეტარესმა ილია II-მ ძალაგებაში აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტყეს, თითოეულ ხმს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მან საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს მოუწოდა – შენუგელოთ დედა-ბუნებას, დავიცვათ იგი ბანადგობისაგან და თითო ხე მაინც დავტყავთ. მცენარე სათუთი ცოცხალი ორგანიზმი, მან გაფრთხილება, მოგვსა სჯობადა.

ყველასათვის ცნობილია ტყეების მნიშვნელობა, იქიდან გამომდინარე, რომ ტყე ნიადაგდაცვითი ფუნქციის ერთ-ერთი მარგულებელია. მაქვს სრული უფლება განვაცხადო, რომ ტყე პლანეტის მთავარი სასიცოცხლო არტერიაა, რომლის გაუფრთხილებლობა დაღუპვის წინაპირობაა. დღევანდელი მდგომარეობა ტყეებში კატასტროფულია, რაც მომდინარეობს ტყის არასწორი ექსპლუატაციიდან. ტყეკაფის გამოყოფამდე შესწავლილი უნდა იყოს კორომის (ტყის მასივის) სისწორე, რომელიც უნდა იყოს 04 მაინც. 04 სისწორეზე ქვევით ტყეკაფის ჩატარების შემდეგ ტყე გამეხერხდება. გამეხერხებული ტყის ნიადაგი დაკარგავს ტენიანობას, დაკორდდება. ასეთ ტყეებში ბუნებრივი განახლება შეუძლებელია. არ ექნება თესვს გაღვივების საშუალება. იმდღეებებს სარეველა ბალახი, რომელიც ხანძრის საშიშროებას გაზრდის. არ უნდა ჩატარდეს ტყეკაფი, სადაც ფერდობის დახრილობის კუთხე აღემატება 30-ს. ყოველი სახის ჭრა უნდა ემსახურებოდეს ბუნებრივ განახლებას, რომელიც განსახლებურად ტყის უწყვეტ კვლავარმოებას.

ღვროს ტყის მარაგი. ტყეში ყოველწლიურად მოსაჭრელი ხე-ტყის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წლიურ შემატებას. ტყე-კაფის ჩატარების შემდეგ ტყე-კაფის ტერიტორია უნდა გამოცხადდეს აკრძალულ ზონად, არ უნდა შევიდეს არავითარი სატრანსპორტო საშუალება და 5 წლით მაინც ამ ადგილებში უნდა შეწყდეს საქონლის ძოვება.

ფლორის შესუსტება იწვევს კლიმატის ცვლადობას, რომელიც პირდაპირ აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხზე, გადამწელება და გაქრება ფაუნა.

საჭიროა სასწრაფოდ შეწყდეს ხე-ტყის რეალიზაცია, ჩატარდეს მონიტორინგი. შესწავლილი უნდა იქნეს მარაგი, რომლის სიმცირემ ხე-ტყის რეალიზატორები უკვე სასმელი წყლის სათავეებში, რეკრიაციული ტყის მასივებში და სალოცავების გარშემო მიიყვანეს... სასწრაფოდ უნდა შეწყდეს გაზოცივებულ სოფლებში, რაიონებში და ქალაქებში ხე-ტყის შეტანა.

არჩილ დიდუბელიძე, მეტყველებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო დიდი ჩაილურის რწმუნებული.

ტყე-კაფის გამოყოფამდე უნდა განისაზ-

## პრეზიდენტობის კანდიდატი საგარეჯოში

13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოდან“ 6060 ბურჯანაძე საგარეჯოელ ამომრჩევლებს სტუმრობდა. ხალხით სავსე კულტურის სახლში პრეზიდენტობის კანდიდატთან შესახვედრად პარტიის საგარეჯოელმა აქტივისტებმა ქალაქის მოსახლეობის ერთ ნაწილთან ერთად მუნიციპალიტეტის

თითქმის ყველა, მათ შორის ახერბაიჯანული სოფლების წარმომადგენლებმაც მოიყარეს თავი.

შეხვედრაზე საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსა და 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების, ნინო ბურჯანაძისათვის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრეს „სახალხო კრების“ ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა და ქ-

### ინფრასტრუქტურა, მშენებლობა

## პროექტების განხორციელება მთელი მასშტაბით დაიწყო

როგორც ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის განკარგულების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 996 957 ლარის სამუშაოები უნდა შესრულდეს. ამ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება უკვე 5 აგვისტოდან დაიწყო, სწორედ ამის შესახებ გვესაუბრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელი ცისმარ თაფიაშვილი.

– „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გომბორში განხორციელებული პროექტი, რომელიც სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობას ითვალისწინებდა, უკვე დასრულებულია და 16 სექტემბერს შედგა მისი მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე ამავე დროს დასრულდა სოფელ ვერონაში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღში სველი წერტილების მოწყობა (მიღება-ჩაბარების აქტი აქაც 3 სექტემბერს შედგა). 20 აგვისტოთი თარიღდება ვერხვიანის სასმელი წყლის სისტემის აღდგენა - რეაბილიტაციის დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, 2 სექტემბრით - ყანდ-



ვერონის სარიტუალო სახლი

აურის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის, ზემო ყანდაურის სასმელი წყლის სათავეს შეკეთების სამუშაოების დასრულება, 26 აგვისტოსათვის დასრულდა მზისგულში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები.

დღეისათვის (ინტერვიუ ჩაწერილია 24 სექტემბერს) მიმდინარეობს პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება: ვაშლიანში, კოჭბანსა და ბადიაურში სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია, წყაროსთავში სოფლის საგარეჯოებთან მისასვლელი და სასოფლო გზების პროექტის აღდგენა, გიორგიწმინდაში, ანთოკსა და მარიამჯვარში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების მოწყობა, რეზერვუარების გაწმენდა და დაქლორვა. პატარა ჩაილურში სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, ვერხვიანის საბავშვო ბაღში წყლის შეყვანა და სველი წერტილების მოწყობა, ყანდაურში სასაფლაოს შემოღობვა და სასაფლაოს შესასვლელთან გადასასვლელის მოწყობა, მზისგულში - საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა, შობლიანში - სასმელი წყლის ყველა უბნისათვის მიწოდება და რეზერვუარის მოწყობა.

ამ დღეებში დაიწყო სანიადვრე არხების გაწმენდა პაღდოსა და ნინოწმინდაში. ასევე დაწყებულია ქეშალოს სასაფლაოს შემოღობვისა და კაკაბეთში ე.წ. „საბას წყლის“ რეაბილიტაციის სამუშაოები



ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის სველი წერტილები

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გაგებობის თათბირი

17 სექტემბერი, 2013 წელი

სამშაბათის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ცისმარ თაფიაშვილი, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ბიორბი ბუნაშვილი, სამსახურის უფროსები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები ესწრებოდნენ. თათბირი მიჰყავდა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ცისმარ თაფიაშვილს. თათბირზე ძირითადად, სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული იმ პროექტების მიმდინარეობის განხილვა იყო, რომლებიც რიგ ტერიტორიულ ორგანოებში მიმდინარეობს. ასევე, ფართოდ იქნა განხილული რთვლის მიმდინარეობის საკითხი. რწმუნებულებს დეტალურად მიეცათ ინფორმაცია იმ პროექტების და ღვიძნის გადამამუშავებელი ქარხნების შესახებ, რომლებიც ყურძენს ჩაიბარებენ.

24 სექტემბერი

24 სექტემბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი მიჰყავდა ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ცისმარ თაფიაშვილს. თათბირზე მოისმინეს ინფორმაცია 20 სექტემბერს ძლიერი წვიმის შედეგად ხაშვისა და გომბორის თემის ტერიტორიული ორგანოებისათვის მიყვანილი ზარალის შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ნიკო ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ვენახებში უკვე 2600 ტონა საფურავის ჯიშის ყურძენი მოიკრიფა. მალე ფართო მასშტაბით დაიწყება რქაწითელის ჯიშის ყურძნის კრეფაც.

როგორც სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამსახურის სპეციალისტმა ჯიმშერ ოსიაშვილმა აღნიშნა, 27 სექტემბერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღინიშნება ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. ამ დღეს ყველა ტერიტორიულ ორგანოში ცოფის საწინააღმდეგო ვაკცინით აიცრება ძაღლები. ამასთან, როგორც მან განმარტა, არც ერთი ტერიტორიული ორგანოს მოსახლეობა არ დარჩება ვეტერინალური მომსახურების გარეშე - ყველას ყოველგვარ ვეტექიმში, ზონის, თემის მიხედვით. ვეტექიმის მომსახურება იქნება ფასიანი, ოღონდ განსაკუთრებით მწვავე ინფექციებზე (როგორცაა თურქული, ცოფი, ჯიღები) პასუხისმგებლობას სახელმწიფო აიღებს - ამ შემთხვევაში ცხოველთა ვაკცინაცია უფასო იქნება.

ნინოს მრჩეველმა ისაკ ნოვრუხოვმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა დარბაზში მყოფთ გააცნო თავისი საარჩევნო პროგრამა, ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც იგი გეგმავს ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში. პასუხი გასცა შემოსულ წერილობით თუ ზეპირ შეკითხვებს.



# სიასლეები მუნიციპალიტეტის განათლების სისტემაში

## მუნიციპალიტეტში 698 პირველკლასელი

უდაბნოელი მოსწავლეებისა და მათი პედაგოგებისათვის 16 სექტემბერი დასამახსოვრებელი გახლდათ, – ზაფხულის არდადეგებზე მათი სკოლის შენობას (დაარსების დღიდან არ ჩატარებულა) მთავრობის დაფინანსებით ჩაუტარდა კარგანჯრებისა და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს აღარ შეაწუხებთ ზამთრისა თუ წვილიწადის სხვა დროს მოსული ნალექები, რომელსაც კარგა ხანია ვეღარ აკავებდა შენობის ამორტიზებული გადახურვა.

როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მანანა ცუცქერიძემ, – უდაბნოს გარდა ახალი სასწავლო წლის პროცესი მუნიციპალიტეტის დანარჩენ 25 საჯარო და 2 კერძო სკოლაში შეფერვების გარეშე განახლდა, რაც უზრუნვე-

ლყო ადგილზე გატარებულმა შესაბამისმა ღონისძიებებმა, გამოწვევის გახლდათ ლამბალოს საჯარო სკოლა, რომელსაც, როგორც ცნობილია, არ გააჩნია საკუთარი შენობა და მეცადინეობის განახლება მის მოსწავლეებს დაქირავებულ შენობებში მოუხდათ. სკოლებმა შეუფერებლად მიიღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჩუქრები მოსწავლეებისათვის – უფასო სახელმძღვანელოები. დანაკლისის შევსებას კი ამ დღეებში მოელონ. ამასთან ერთად სამინისტრომ გამოსცა სპეციალური ბრძანებულება მოსწავლეთა მიერ დარიგებული სახელმძღვანელოების მოვლა-შენახვის თაობაზე. მომავალ წლებში ისინი მისაღები ფორმით გადაეცემა სხვა მოსწავლეებს. ამ საკითხზე მანანა ცუცქერიძის განმარტებით, სამინისტროს

მიერ დაწესებული სახელმძღვანელოების მოვლა-შენახვის 15 ბალიანი დონე იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო წლის ბოლოსათვის მოსწავლემ წიგნები უკან ჩააბაროს მინიმუმ 9 ბალიანი დონით მაინც. როგორც ჩვენი რესპოდენტისგანვე შევიტყვეთ, ივკემა მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლაში გახიფციურებისა და ბუნებრივ აირზე მომუშავე გამათბობლების დიდგმა. ეს სკოლებია: ნინოწმინდის, საგარეჯოს III, დუზაგრაძის, იორ-მულან-ლოსა და შიბლიანის საჯარო სკოლები, სადაც ნაწილობრივ უკვე დაწყებულია ეს სამუშაოები.

ჩვენს კითხვაზე, თუ რა კატეგორიის მასწავლებლებზე ივკემა მიმდინარე სასწავლო წლისათვის სახელფასო დანამატების ზრდა, მუნიციპალიტეტის ზოგადსაგან-

მანათლებლო სისტემის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს დანამატები უშუალოდ ეხება სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, კერძოდ, ადრინდელი 18 საათის ნაცვლად ამ დანამატმა 15 საათზე ჩამოინაცვლა. დაწყებითი კლასების მასწავლებლები კი დანამატს უკვე 13 საათიდან მიიღებენ. ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზრდათ სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური სამსახურის მუშაკებსაც.

დადებითად გადაწყდა ყანდაურის საჯარო სკოლაში I კლასის გახსნის საკითხი. აქ კითხვის ნიშნის ქვეშ იყო ეს საკითხი მოსწავლეთა სიმცირის გამო. და მიმდინარე სასწავლო წლისათვის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში 698 მოსწავლე მიუჯდა პირველკლასელის მერსს.

*მიწი ლაბაჩიშვილი*

### შიქარაი ღვინაძელოაზი, ახლო მომავალსა და მოკალსა .....სხვანაირი ყოფილა გაზრდა“...



3 ფიქრობ, სკოლის დაწყების წინა დამით მშვიდად თუ არ გძინებია, სკოლის უზომოდ „სიყვარულის სენს“ დაუაყვადებხარ... არაფერი შეედრება ამ საოცარ და ამბულელებელ განცდას, 3 თვის მონატრებულ სკოლას, მასწავლებლებსა და ამხანაგებს რომ ხვდები. როცა ამაყად შეაბიჯებ სკოლაში და იგრძნობ, ამ კედლების შვილი ხარ, აქ გამოზრდილხარ... მასსოვს, როგორ ვნატრობდი I-II კლასელი, ჩემზე უფროსკლასელებს როცა ვუყურებდი, „დიდ გოგონას“. მაშინ ეს შორეული ნატვრა იყო ჩემთვის. ახლა კი... უკვე „დიდი გოგო“ ვარ და ალბათ ახლა, ახალი თაობის პაწაწინა მოსწავლეები შენატრიან ჩემს ყოფას. თურმე სულ სხვანაირი ყოფილა „გაზრდა“, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ და იახრებ, რომ მალე შენი მეორე სახლის დატოვება მოგიწევს. უკვე ვერ წარმომიდგენია დილა, რომელიც ჩემი კლასის კედლებში არ დაიწყება. ვერ წარმომიდგენია ვერც მზის „შუბის წვერზე ასვლა“, უჩემოდ... ფანჯარაში რომ შემოეჭრება და მეაღერებს, მათობს... ვეღარ გავივინებ ვეღარც ზარის წკრიალას ხმას და ვეღარც ამ ხმის გაგონებით გამოწვეულ ერთგვარ სიხარულს ვიგრძნობ.

ერთი შეხედვით, ყოველდღიურობად ქცეული სკოლა მაინც ტკბილია, იმდენად ტკბილი, დრამდამოხუცებულს, ბუნხართან მჯდომს, ცივ ღამეში, შეილიშვილისთვის რაღაც სახალისო სკოლისდროინდელის მოყოლას რომ მოგანდომებს. სახალისო ამბები კი ბევრია... წლებიწინა და შემდეგი წელი მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის. გამოცდებისთვის უნდა მოვემზადო.

მინდა ვასახელო ის თითოეული ადამიანი, რომელმაც საჭირო განათლება მომცა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში დამეხმარა. ჩემთვის, წელს უკვე მეთერთმეტედ დაირეკა სკოლის ზარი!.

*მაკაო საბინაშვილი,  
საგარეჯოს II საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე*

## ახალი სასწავლო წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში

### კოჭბანი



წელს კოჭბანის საჯარო სკოლის (მენჯეური თამარ ჟიკლაური) სექტემბრის პირველმა ზარმა 28 მოსწავლეს მოუხმო სწავლისაკენ. დაწყებითი განათლების პედაგოგმა მარიკა ფიცხელაურმა მსოფლოდ ერთ მოსწავლეს – ნათია ბლიაძეს მიულოცა სკოლაში შესვლა და ნეტ-ბუქი და სახელმძღვანელოები გადასცა.

მეთორმეტეკლასელთათვის, რომლებიც სულ ხუთია, ბოლო სასწავლო წლის სასკოლო ზარი დაირეკა – ბექა მახურიშვილი, ზურაბ გურგენიშვილი, ბექა ქისტაური, ბადრი ცოფურაშვილი, გიორგი დელიბაშვილი 5 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით ოთხ გამოცდას ჩააბარებენ. ისინი 16 სექტემბრიდანვე შეუდგნენ საატესტატო გამოცდებისათვის მზადებას. მათ ყურადღებას, თანადგომას არ მოაკლებთ დამრიგებელი სოფიკო კობალიანი.

პედკოლექტივთან ერთად სწავლების საქმეს კვლავაც ენთუზიაზმითა და ხალისით შეუდგა დიდი პედაგოგიური სტაჟის მქონე რუსული ენის მასწავლებელი ანგელინა ნადირაძე.

სკოლის 28 მოსწავლემ უფასოდ მიიღო სახელმძღვანელოები – საქართველოს მთავრობის საჩუქარი.

სკოლის შენობა მიმდინარე რემონტს არ საჭიროებდა, მათ არც ახალი სასწავლო მერსების შეძენის საჭიროება ჰქონდათ.

### უჯარმა



ბასული სასწავლო წლისთვის უჯარმის საჯარო სკოლის (მენჯეური ნინო ღაბიაშვილი) შენობას ჩაუტარდა ის აუცილებელი სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა ხუთი საკლასო ოთახის გარემონტებას, შენობის გარე ფასადზე საკვამლე მიღების დაყენებას და ტუალეტის რეაბილიტაციას. სკოლაში ყველა ბავშვს, 50-ვე მოსწავლეს აქვს ერთადგილიანი, ინდივიდუალური მერსი.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პირველ კლასში ხუთი მოსწავლეა, მათ პედაგოგ მზია ჯაშიაშვილთან ერთად უნდა შეისწავლონ „დედა ენა“, დაეუფლონ იმ საგნებს, რომლებიც საინტერესო სამყაროს გაცნობას ჰპირდებოთ. ნეტბუქების, სახელმძღვანელოების საჩუქრად გადაეცემათ კი მათი სიხარული უფრო გააორმაგა.


სკოლის სამი მეთერთმეტეკლასელი: იოსებ ქისტაური (იგი სატელევიზიო პროექტ „ეტალონის“ მონაწილეა – დაიკავა მესამე ადგილი), ზურაბ მათიაშვილი და მარიამ მელიაშვილი დამრიგებელ ია რევაზიშვილთან ერთად საოქტომბროდ საატესტატო გამოცდებისათვის მოემზადებინ.

სკოლის 17 მასწავლებელი და მათი 50 მოსწავლე 16 სექტემბრიდანვე შეუდგა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. ამ პროცესს ინგლისური ენის ახალგაზრდა პედაგოგი ხატია გორელიშვილიც შეუერთდა.

### შიბლიანი



2012 წლის 15 სექტემბერს შიბლიანელმა მოსწავლეებმა სკოლის ახალ შენობაში იხიემეს სასწავლო წლის დაწყება. ამდენად, წელს სკოლის შენობას არ დასჭირვებია არც სარეაბილიტაციო სამუშაოები და სკოლის ხელმძღვანელს არც სასკოლო ინვენტარზე ზრუნვა. როგორც საჯარო სკოლის დირექტორმა **დავით ხუროშვილმა** გვითხრა, 16 სექტემბერს აქ სწავლას 64 მოსწავლე შეუდგა. მათ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო საქმიანობას კი 22 პედაგოგი გაუძღვება. მათგან ქართული




ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელენე ჭამიაშვილი-ძირკველიშვილი გამოცდილი, საკმაოდ დიდი შრომითი სტაჟით გამოირჩევა.

სკოლის 12 საკლასო ოთახი, ინფორმატიკის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა სრულ მზადყოფნაშია მოსწავლეთა მისაღებად. სკოლის I კლასის ორი პირველკლასელი მიუჯდა – იორკლი მარგებაძე და კობა ჭამიაშვილი.

გიორგი და ანა ზირაქაშვილი, ღია ხუციშვილი და გურამ ჭამიაშვილი კი მეთორმეტეკლასელები არიან.

სკოლის 64-ვე მოსწავლემ საჩუქრად მიიღო სასკოლო სახელმძღვანელოები, პირველკლასელებმა კი – ნეტბუქებიც.



16 სექტემბერს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.







# ლიბილის ბიჭებზე დაწერილი

## იქვე იქ მოულოდნელად: რუსი ნელი გასულა

რიახ, ოცი წელია სტიკია საქართველოს უაფხაზეთობა, ენატრება ენგურს გაღმა დარჩენილი მიწა-წყალი, ოცი წელია წავის აფხაზეთში კერიამოშლილ ქართველობას თავისი ფუძის მონატრების მწარე ნაღველი, ოცი წელია შამშამა და ბალახმა გადაუარა წინაპართა საფლავებს, ოცი წელია ცას შესწუხნუხებს უდანაშაულოდ ანეხილთა, მტერ-მოყვარის ტყვიადახლილთა სისხლი. ენატრებათ აფხაზეთი, ტკივილიანი მონატრება უმწარებთ სექტემბრის მოსვლას ენგურს გამოღმა ენგურს გაღმა თვალდარჩენილებს. ვინ საფლავეში ჩაიყოლა აფხაზეთის მონატრება, ვის ჯავრის ჭანგი უჭამს გულსა და სულს. იყურებიან აფხაზეთისკენ, ეფერებიან იქიდან გამოყოფილ სამახსოვრო სურათებსა და სუვენიერებს და ქართველი რისი ქართველია, რომ იმედი გადაიწუროს, იმედი საკუთარ ფუძეზე დაბრუნებისა და კერიის ნაღვერდადის გადაივებისა. ნუმც მოუშალოთ აფხაზეთში დაბრუნების იმედი, ილორის წმინდა გიორგი ფარავდეს უაფხაზეთოდ ჩამოხერხებულთ, აფხაზეთის მიწის იქით ამ ოც წელიწადში დაბადებულთ და იმით, ვინც ახლა, მომავალში დაიბადებიან, მალე დაბრუნებოდნენ იმ მიწა-წყალს, სადაც მათი ფესვებია, სადაც მათმა შთამომავლობამ უნდა იცხოვროს და უპატრონოს მამა-პაპულ მიწას!

აფხაზეთის ომში საგარეჯოელი ვაჟკაცებიც იბრძოდნენ. ზოგი დაბრუნდა, ზოგმა განსასვენებელი იქ ჰპოვა, ზოგი მშობლიურ მიწას აქ მიუბარა და ზოგს კი ისევ ელოდება მშობლიური კერა – უგზო-უკვლეოდ დაკარგულს.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის ავტონომიური თარიღად მონიშნა საქართველოს ისედაც სისხლითა და ოფლით გაჯერებული მატინის ფურცლებზე...

მალე დაბრუნებოდნენ ქართულ მიწას თავისი სისხლი, და ხორცი!

## ბილოცაში!



საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის მენეჯერს **თამარ ლავიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელ, დღეგრძელ სიცოცხლეს

თავის უღამაზეს ოჯახთან, უსაყვარლეს ქმარ-შვილთან ერთად. წარმატებები არასოდეს მოგაკლებოდეთ. მუდამ ასეთი შემართებით, უფლის წყალობითა და სიყვარულით გეცხოვროთ. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. ეს ახალი სასწავლო წელი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. თქვენგან გაღებულმა სიკეთემ გაანათოს ჩვენი გულები და ყოველი დღე ყოფილიყოს მზის სხივით გაბრწყინებული და დღის მადლით გამდიდრებული.

საბარძქოს №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები

## უკვდავებაში გადასულა

ჩვენი რაიონის ისტორიის მატინეში რაღაც უცნაურად გაყუჩებული ერთი ფურცელი... თითქოს ისიც გრძნობს იმ დიდ ტკივილს და პასუხისმგებლობას, რაც თეთრზე აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას.

ისინი 15 არიან: ვახტანგი, რამაზი, ვაჟა, გელა, ბაქარი, მიხეილი, სოსო, დათო, ბადრი, ზურაბი, მამუკა, კახა, დავითი, მიხეილი, გიორგი.

ვინ უწყის, რამდენ დარდს და წუხილს იტევს ეს პატარა ფურცელი... ეს არის 15 დარდის ლოდად ქცეული დედა, ყინულივით ცრემლად დამდნარი 15 ანკარა სიყვარული, ყველა ქართველის უსახდვრო სევდა და გულისტკივილი, მაგრამ ამავე დროს არის სიამაყეც, რადგან ისინი სამშობლოსათვის თავშეწირული პატარა გმირები არიან..

მათგან სამს პირადად ვიცნობდი:

**რამაზ ზიბარტაძე** – ჩემი შვილის თანაკლასელი, ჩემი კარის მეზობელი, ჩემს თვალწინ გაზრდილი და უცბად დაეკარგებოდა, 3 დღეში გმირად ქცეული, თვალბეცემი, ამაყი სული.

**შაჰა ჭიტიაშვილი** – ჩემი თანაკლასელის შვილი, ჩემი შვილის კურსელი, არწივივით „მფრინავი“ დაუდევარი.

**გელა ზამარაშვილი** – ჩემი უმცროსი შვილის თანაკლასელი, ჩვენი თანაქალაქელი, ჩემი, კეთილი, ძალზედ უწყინარი.

არავინ და არაფერია დავიწყებული, ისევ ისეთები გვახსოვხართ ბიჭებო, როგორებიც იყავით.

სისხლითა და ცრემლით იწერება ახალი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ისტორია. ამ ისტორიის შემოქმედნი არიან ეს დიმილის ბიჭებიც.

არ ვიცი, რა სანუგეშო სიტყვა უნდა ვუთხრათ მათ ოჯახებს, რით ვუმკურნალოთ მათ ტკივილებს, რომლებიც მთელი საქართველოს ტკივილიცაა. ნუგეში მხოლოდ ის არის, რომ ისინი საქართველოს იმ წმინდა და გმირულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნიან, რომლებიც საკუთარი შვილების სიცოცხლის ფასად იცავენ ერს და მამულს, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

მათ სახელებს დავიწყება არ უწერია.

უკვდავებაში გადასულთა ხსოვნას ქვეყანა სანთლებად ააქვდა.

მზია ლარბაქიელი

## აზრი, ბანსჯა, შიძრი საკითხს აყენებს პენსიონერი

**მიზიფიანოვი შრომის ვეტიანა**

პრესის საშუალებით თუ შევიტყობთ, რომ რაიონში იყო შეხვედრები ვეტერან სპორტსმენებთან, ხელოვნების მუშაკებთან, ომის ვეტერანებთან. რატომღაც დღეს მივიწყებულია შრომის ვეტერანის სახელი, რომელიც 30,40, 50 წლის განმავლობაში შრომობდა და საკმაო რაოდენობის სტაჟი აქვს იმისათვის, რომ ხანდახან შეეხმანონ, მოიგონონ. რატომ არ შეიძლება რომ რაიონის ყოფილი ან ახლანდელი ხელმძღვანელობამ შეხვედრები მოინდომოს ასეთ ადამიანებთან, ანგარიში ჩააბარონ მათ. ესაუბრონ წარმატებულ და წარუმატებელ პროექტებზე. ზოგჯერ დახმარება სთხოვონ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ჩემის აზრით უფრო ადვილი იქნება იმ პრობლემებზე საუბარი, რაც ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობას აწუხებს. იქნება სჯა-ბაასი და მისი მოგვარების გზებიც შეიძლება უფრო ადვილად აღმოვაჩინოთ ერთად. მოდით ვიფიქროთ ამაზე და საქმიანად შევეშველოთ ერთმანეთს.

ომარ კავთუაშვილი, პენსიონერი, საგარეჯო

## ქურაღლება დასაქმება

- შპს „ელ-ჯი“-ს სამომავლო ფაბრიკა იტალიელი კლიენტების დაკვეთის შესასრულებლად სამუშაოდ იწვევს პროფესიონალ და დამოუკიდებელ მკვლევარ პირობებით:**
- \* ფაბრიკა აღჭურვილია უახლესი მანქანა-დანადგარებით;
  - \* შექმნილია შრომის საუკეთესო პირობები;
  - \* ფაბრიკა თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთან უწყვეტ სამუშაო პროცესში;
  - \* შრომის ანაზღაურება განხორციელდება – გამომუშავება პლუს ბონუს სისტემა (საშუალო გამომუშავება 350 ლარი);
  - \* მოგემსახურებათ უფასო ტრანსპორტი (მოსვლა-წასვლა);
  - \* უზრუნველყოფილი იქნებით ერთჯერადი უფასო კვებით;
  - \* ფაბრიკა მდებარეობს ღილოს დასახლებაში, მისამართზე: ჭირნახულის I შესახვევი №7;
  - დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონებზე: 2-40-77-20; 592-77-00-05; 592 77-07-90.

## ჩეკლაე


**შეკალი ბეჭდვა მაისურხა, ზიტახე, ზუზბანათახე, ტოტოტხე და ა.შ.**

**შეკალი ძმაროშვილი ფოტობიზნოსში**

**ბეჭდვა მაისურხა, ზიტახე, ძვანხე, ზუზბანათახე, ტოტოტხე და ა.შ. სრული ინფორმაცია საიტზე: WWW.mad-studio.ge.**

**ძ. საბარძქო. ტელ:**  
**571 717 889;**  
**599 17 26 22.**

## ბამოსათხოვარი ჯემალ თოლომაშვილი



„ხელოვნება რელიგიაა, რომელსაც თავისი ქურუმები და წამებულები ჰყავს.“ ამბობს ონორე დე ბალზაკი. თუ ამ დიდი მწერლის გამოხატუვამს გავიხარებთ, მაშინ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ თოლომაშვილი საგარეჯოს სახალხო თეატრის ქურუმი იყო. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურა ხელოვნების ამ დარგს.

ბ-ნი ჯემალი არც დრამატურგი იყო და არც რეჟისორი, არც კომპოზიტორი და არც მხატვარი, არც მსახიობი და არც მუსიკოსი, მაგრამ ნებისმიერი სპექტაკლისა თუ ღონისძიების წარმატების უდიდესი წილი მის ცოდნასა და პროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული, რასაც მისი საქმისადმი ერთგულება და საოცარი პასუხისმგებლობაც ემატებოდა. ის ვიწრო სპეციალიზმით არ იფარგლებოდა. თითქმის არ არსებობს თეატრში საქმე, რომელიც ჯემალის ხელით არ არის გაკეთებული. დასტატირებით დასტრირალებდა თავს ამ უზარმაზარ შენობას და თუ დღეს საგარეჯოს თეატრს ასეთი შენახული და აწყობილი ტექნიკური საშუალებები აქვს, ამაში მისი უზარმაზარი წვლილია.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ საქმეს აკეთებდა, არასოდეს არ უყვარდა თავის გამოჩენა. უაღრესად თავმდაბალი იყო, შრომისმოყვარე, ნიჭიერი, კეთილი, პატიოსანი, თავდაუზოგავი და ერთგული, როგორც საქმის, ასევე მეგობრებისა და ახლობლების მიმართ. ეს იყო კაცი, რომელსაც თვალდახუჭული ენდობოდი – უღალატო, დიდი შინაგანი კულტურის მქონე ადამიანი.

არასოდეს წარმდგარა მყურებლის წინაშე. მზურგაღებულ თვალებს და ტაშს თავისი სამართავი პულტიდან ადევნებდა თვალყურს და ზემოდან – თავისი პატარა სამოყვლედიან მისთვის ჩვეული კეთილი დიმილით დასცქეროდა დარბაზს და სცენას.

თეატრის წარმატებით ამყოფდა, მაყურებლის კმაყოფილებით იყო ბედნიერი და ყოველი პრემიერის შემდეგ ახალი ენერგიით იწყებდა ფუსფუსს. არ იღლებოდა, არ ჩერდებოდა და ამიტომაც მოულოდნელი იყო მისი დაღლა, გაჩერება და გაუჩინარება.

დიდხანს გვექონდა იმედი, რომ კვლავ ჩვენს გვერდით დადგებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა...

მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია – ის ჩვენი უფროსი მეგობარიც იყო და მასწავლებელიც.

ჯემალ თოლომაშვილი ჩვენთან დარჩა თავისი ნაღვაწით, რომელსაც თეატრში ყოველ ნაბიჯზე ეხედავით და ვგრძნობთ, და მისი სახელი, რომელსაც ყოველთვის სიყვარულით და პატივისცემით მოვიგონებთ.

საბარძქოს სახალხო თეატრის ღასი

## „EUCEN“-ის საერთაშორისო საბანანათელელო ევრო აკრედიტაციის ეფლოგელი სამართემლო-შერაინის სოციალ-ურ შრთიერთობათა ინსტიტუტის ძ. საბარძქოს სასწავლო ცენტრი აცხადებს მიღებას

არაფორმალური პროფესიული განათლების ვეგდით გასაუბრების საფუძველზე IX და XII კლასდამთავრებულთათვის

**კომპიუტერული ტექნოლოგიები დაცვა და პატრულირება**

**სოციალური მუშაკი**

**ბანკის ოპერატორი**

**აუდიტის ასისტენტი**

**საბაჟო წარმომადგენელი**

**გიდი (ტურიზმი)**

**სასტუმრო საქმის მწარმოებელი**

**ბავა-ბაღის აღმზრდელი**

**ექთნის თანაშემწე**

**კბილის ტექნიკოსი**

**ვეტერინარია**

სასწავლო გადასახადი წელიწადში 500 ლარი.

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან სერტიფიკატს

**მისამართი: ქ. საგარეჯო. დ. აღმაშენებლის ქუჩა №6.**

**ტელ: 593 92 49 46;**

**რედაქტორი: თინათინ ილაური**

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

**ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143**

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

